

საქართველო

ადიგენის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 16

30 აპრილი 2009 წ.

დაბა ადიგენი

“ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 9 თებერვლის #4 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

**“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ**

დ ა ა დ გ ი ნ ა

მუხლი 1. დამტკიცდეს შემდეგი ცვლილებები “ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 9 თებერვლის #4 დადგენილებაში :

1. დადგენილების პირველი და მეორე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) **“მუხლი 1. ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2.207.600 ლარით (დანართი #1)”**

ბ) **“მუხლი 2. ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 2.207.600 ლარით (დანართი #2)”**

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად - გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

/გრ. გიგაშვილი/